



#1 (22), იანვარი, 2009

იურიდიული დახმარების კლინიკა

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტში შეიქმნა იურიდიული დახმარების კლინიკა, რომლის მიზანია სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის იურიდიული მომსახურება.

კლინიკაში იურიდიული მომსახურება უფასოა და მოიცავს:

- იურიდიულ კონსულტაციას;
- სამართლებრივი დოკუმენტების მომზადებას;
- განსაკუთრებულ შემთხვევებში წარმომადგენლობას ადმინისტრაციულ ორგანოებში და სასამართლოში.

კლინიკის საქმიანობის ფორმები

- სატელეფონო კონსულტაცია;
- პირადი კონსულტაცია;
- გასვლითი იურიდიული კონსულტაცია (რეგიონებში);
- [ონლაინ კონსულტაცია](#).

თბილისი 0171

26 მაისის მოედანი 2, V სართული

ტელ: (995 32) 94 16 05

ფაქსი: (995 32) 33 04 17

ელ-ფოსტა: legalclinic@civilin.org

ვებ-გვერდი: www.civilin.org/welfare

ყოველთვიურ ელექტრონულ
გამოცემას ამზადებს
სამოქალაქო საზოგადოების
ინსტიტუტი

ვებ-გვერდი: www.civilin.org

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის საარსებო გარემოს გაუმჯობესებაზე მუშაობს

26 დეკემბერს სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ გაიმართა სოციალურ საკითხებზე მომუშავე ჟურნალისტთა კონკურსში გამარჯვებულების დაჯილდოება. ღონისძიებას ესწრებოდნენ მედიის, საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები



საუკეთესო ფოტო ნამუშევარი – ავტორი მარიკა ამურველაშვილი

„ვიზრუნოთ ერთმანეთზე“ – 2008

„ვიზრუნოთ ერთმანეთზე“ – ასე ჰქვია კონკურსს, რომელიც სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტმა, სოციალური საკითხების ფართოდ და ღრმად გაშუქების მიზნით, სოციალურ საკითხებზე მომზადებული საუკეთესო საგაზეთო სტატიის, საუკეთესო ფოტო ნამუშევრის, საუკეთესო სატელევიზიო და რადიო სიუჟეტების გამოსავლენად დააფუძნა. შესაბამისად, კონკურსი ამ ოთხ ნომინაციაში გამარჯვებულის გამოვლენასა და მათ დაჯილდოებას ისახავდა მიზნად. თითოეულ ნომინაციაში გაიცა ორი – პირველი და მეორე პრემია.

(გაგრძელება იხ. მე-2 გვ.)

„ვიზრუნოთ ერთმანეთზე“ – 2008



(გაგრძელება)
 შემოვიდა 50–მდე ავტორის საკონკურსო სტატია, ფოტო, რადიო და ტელე სიუჟეტები. შემოსული საკონკურსო მასალები შეაფასეს ჟიურის წევრებმა. ჟიურის შემადგენლობაში შედიოდნენ – ვაჟა სალამაძე, ზვიად ქორიძე, დავით პაიჭაძე, გურამ წიბაძაშვილი, ლიკა ჩახუნაშვილი, სოსო სიმონიშვილი.



ჟიურის წევრებმა კონკურსის გამარჯვებულები დასკვნით ღონისძიებაზე, 26 დეკემბერს, სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ დაასახელეს.

- საუკეთესო საგაზეთო სტატიის ავტორად გამოცხადდა ჟურნალისტი მკაა ჯაიანი წერილისთვის „ნარკომანია განაჩენი არ არის“ (გამოქვეყნდა გაზეთ „რეზონანსში“);



- საუკეთესო სატელევიზიო სიუჟეტის ავტორად გამოცხადდა თემურ ბარძიმაშვილი, სიუჟეტისთვის „უსინათლოთა დასაქმება“ (gipa);

- საუკეთესო ფოტო ნამუშევრის ავტორად გამოცხადდა ფოტოხელოვანი მარიკა ამურველაშვილი ფოტოსთვის „პორტრეტი“.



თითოეულ ნომინაციაში გამარჯვებულს გადაეცა ფულადი ჯილდო – 1000 ლარი, სიგელი და პრიზი. რაც შეეხება საუკეთესო რადიო სიუჟეტს, ჟიურის გადაწყვეტილებით პირველი და მეორე საპრიზო ფონდი გაერთიანდა და 500–500 ლარის ოდენობით გადაეცა სამ ავტორს – გოგა აფციაურს საუკეთესო რადიო სიუჟეტისთვის „დამხმარეთ“ (რადიო „თავისუფლება“), ეკა ჭითანავას საუკეთესო რადიო სიუჟეტისთვის „მიუსაფარი ბავშვები“ (რადიო gipa), ჯიმშერ რეზვიაშვილს საუკეთესო რადიო სიუჟეტისთვის „მიგრაცია“ (რადიო

„თავისუფლება“). მეორე პრემიის მფლობელი საგაზეთო სტატიის ავტორი ჟიურის არ გამოუვლენია, მათივე გადაწყვეტილებით საპრიზო ფონდი ორ ნაწილად გაიყო და წამახალისებელი ჯილდოს სახით გადაეცათ ჟურნალისტებს – ცაულინა მალაზონიას („მესხეთის ექსპრესი“) და ქეთევან მიშველიძეს („მესხეთის კარიბჭე“). თითოეულ მათგანს გადაეცა ფულადი ჯილდო 250 ლარის ოდენობით.

რაც შეეხება სატელევიზიო სიუჟეტსა და ფოტოს, ჟიურის გადაწყვეტილებით მეორე პრემია გადაეცა ჟურნალისტ ნინო შურღაიას სიუჟეტისთვის „როგორ გავატარე ზაფხული“ (საინფორმაციო პროგრამა „მოამბე“, პირველი არხი), ხოლო ფოტოხელოვან გია გოგატიშვილს ფოტოსთვის „გმირთა მოედანი“. შესაბამისად თითოეულ მათგანს გადაეცა ფულადი ჯილდო 500 ლარის ოდენობით, სიგელი და პრიზი.

კონკურსის წლებანდელი პარტნიორი იყო სადაზღვევო კომპანია აი–სი ჯგუფი, რომელმაც ოთხივე ნომინაციაში დააწესა სპეციალური პრიზი – ერთწლიანი ჯანმრთელობის დაზღვევის პაკეტი. სადაზღვევო კომპანიის გადაწყვეტილებით აგვისტოს მოვლენების გაშუქებისთვის სადაზღვევო კომპანიის პრიზი გადაეცათ – ნინო დალაქიშვილს (გაზეთი „24 საათი“), ნინო შურღაიას (საინფორმაციო პროგრამა „მოამბე“, პირველი არხი), ეკა ქევანიშვილს (რადიო „თავისუფლება“), თემურ ბარძიმაშვილს (gipa).

P.S გამარჯვებული ნამუშევრების ნახვა შეგიძლიათ ვებ–გვერდზე: www.civilin.org/welfare

საშობაო სპექტაკლი



ასოციაცია „ანიკას“ აღსაზრდელები წელიწადში რამდენიმე სპექტაკლს წარუდგენენ სტურმებს და თავიანთი შემოქმედებით აოცებენ მათ. ასოციაცია „ანიკა“ რამდენიმე პროგრამას ახორციელებს – დღის ცენტრის მომსახურებას სთავაზობს იძულებით ადგილნაცვალ ბავშვებს (44 ბენეფიციარი, აფინანსებს ფედერაცია „გადავარჩინოთ ბავშვები“) და ასეთივე პროგრამას სთავაზობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს (40 ბენეფიციარი, აფინანსებს საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო). საშობაო სპექტაკლის მომზადებაში ორივე პროგრამის ბენეფიციარებმა მიიღეს მონაწილეობა.

მსგავსი ღონისძიებები ხელს უწყობს როგორც იძულებით ადგილნაცვალ ბავშვთა ფსიქო-სოციალურ რეაბილიტაციას, ასევე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა ინტეგრაციას საზოგადოებაში. ორგანიზაცია რამდენიმე წელია სწორედ შშმ ბავშვთა საზოგადოებაში ინტეგრაციასა და დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობის მიმართულებით მუშაობს.

სპექტაკლის დასრულების შემდგომ, რომელსაც ეწრებოდნენ ფედერაციის „გადავარჩინოთ ბავშვების“, ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტოს წარმომადგენლები. ბავშვებს შობა-ახალი წელი თოვლის ბაბუამ და ფიფქიამ მიულოცეს და დაასაჩუქრეს. მათთვის საქუჩარი ბავშვებსაც ჰქონდათ – სიმღერები და ლექსები.



სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის მცირე გრანტების პროგრამა

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი

2009 წლის დასაწყისიდან გეგმავს, „სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის ეფექტური საარსებო გარემოს შექმნის“ პროექტის ფარგლებში, მცირე გრანტების პროგრამის დაწყებას.

გრანტები გაიცემა ორგანიზაციების ინსტიტუციონალური განვითარებისთვის. აღნიშნული პროგრამის მიზანია სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების ინსტიტუციონალური მდგრადობისა და განვითარების ხელშეწყობა.

პროცესის მაქსიმალური ეფექტიანობის მისაღწევად მიზანშეწონილად მიგვაჩნია გრანტის პოტენციურ მიმღებთა ჩართვა საგრანტო პირობების დახვეწაში.

მოგმართავთ თხოვნით, მოგვაწოდეთ თქვენი მოსაზრებები და ხედვები თქვენი ორგანიზაციის ინსტიტუციონალური განვითარების საჭიროებების შესახებ (მაგალითად: მატერიალურ-ტექნიკური რესურსები; თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება და სხვა. გთხოვთ დააკონკრეტოთ).

ინიციატივები მოგვაწოდეთ შემდეგ მისამართზე:
ia@civilin.org

წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისთვის.




პრესის მონიტორინგი

სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის საარსებო გარემოს გაუმჯობესების პროექტის ფარგლებში სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი მუშაობს პრესაში გამოქვეყნებული სოციალური თემების მონიტორინგზე. ვაკვირდებით

სოციალურ სფეროზე ორიენტირებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე და მათ ბენეფიციარებზე გასულ პუბლიკაციებს. ასევე პროგრამებს პროექტებს, საკანონმდებლო ცვლილებებს, რომლებიც ზრუნვის ამ ჯგუფებს და მათზე მზრუნველ – საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ეხება. მონიტორინგისთვის შეირჩა ყოველდღიური, ყოველკვირეული შემდეგი ჟურნალ-გაზეთები – „რეზონანსი“ („კვირის რეზონანსი“, „მთელი კვირა“), „24 საათი“, „კვირის პალიტრა“, „ალია“, „ქრონიკა“, „ჯორჯიან თაიმსი“, „ახალი თაობა“ („კვირიდან კვირამდე“), „ცხელი შოკოლადი“, „სარკე“, „თბილისელები“.


პრესის აქტივობა

2008 წელს, ანუ გასული წლის იანვრიდან დეკემბრის ჩათვლით, ზემოთაღნიშნულ საკითხებზე გამოქვეყნდა 297 პუბლიკაცია ინფორმაცია გამოქვეყნებული მასალები თვეების მიხედვით ასეთნაირად ნაწილდება:



პუბლიკაციების თანაფარდობა

გამოქვეყნებულ მასალებში გვხვდება საინფორმაციო სააგენტოების ინფორმაციები. სააგენტოსა და საავტორო პუბლიკაციების თანაფარდობა ასეთია – დაიბეჭდა საინფორმაციო სააგენტოს 63 ინფორმაცია, ხოლო საავტორო 234 (აქედან 26 არ ჰყოლია ავტორი, შეიძლება ვივარაუდოთ რომ იგი სარედაქციო ხასიათის მასალაა)



(გაგრძელება მე-5 გვ.)

საკონკურსო განაცხადი

1. ფონდის „ღია საზოგადოება – საქართველოს“ ინტეგრაციისა და სამოქალაქო განათლების პროგრამა აცხადებს კონკურსს პროექტებისათვის, რომელთა მიზანია განსახლების ადგილებში დევნილი ახალგაზრდების ადაპტაციისა და მათი საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობის ხელშეწყობა.

ინფორმაცია იხილეთ

გაზეთი „რეზონანსი“, 14 იანვარი, 2009 ან

<http://www.osgf.ge>
<http://www.civilin.org/welfare>

2. ფონდის

„საერთაშორისო განათლების ცენტრი“ და ღია საზოგადოების ინსტიტუტი აღხადებენ უნივერსიტეტის მასწავლებელთა კონკურსს.


ინფორმაცია იხილეთ

გაზეთი „რეზონანსი“, 23 იანვარი, 2009 ან

<http://www.civilin.org/welfare>


(გაგრძელება)

რაც შეეხება გამოცემების მიხედვით პუბლიკაცია ინფორმაციის განაწილებას, სურათი ასე გამოიყურება:



თემატური აქტივობა

როგორც უკვე აღვნიშნეთ 2008 წელს გამოქვეყნდა 297 პუბლიკაცია ინფორმაცია. სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების შესახებ – 48 პუბლიკაცია ინფორმაცია დაიბეჭდა (ამგვარი პუბლიკაციების ნაწილში აღწერილია ორგანიზაციის საქმიანობა და მოთხოვნილია მისი ბენეფიციარების შესახებ, ხოლო მეორე ნაწილში ამ ორგანიზაციის წინაშე არსებული პრობლემების შესახებ). სოციალურ თემაზე გამოქვეყნებული სტატისტიკური საცნობარო ცვლევით ინფორმაცია პუბლიკაციების რაოდენობაა 38 ქველმოქმედების საქველმოქმედო აქციების შესახებ 74 პუბლიკაცია ინფორმაცია გამოქვეყნდა. სხვადასხვა პროგრამები, პროექტების, საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ 73, სოციალური სფეროს ბენეფიციარების უფლებებზე – 39 წერილი დაიბეჭდა, ხოლო კონკრეტული 25 ისტორია გამოქვეყნდა.



ტერმინები

პრესაში ყველაზე ხშირად გვხვდება ისეთი ტერმინები – მიმართვის ფორმები როგორცაა ინვალიდი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, უნარშეზღუდული, მზრუნველობამოკლებული, ქუჩის ბავშვი, ობოლი, ხანდაზმული, უსინათლო, მოხუცი.

- თქვენ ყოველთვის უნდა ეცნობით სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის მიერ, სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების გარემოს გაუმჯობესების პროექტის ფარგლებში, მომზადებულ ელექტრონულ საინფორმაციო ბიულეტენს.

ბიულეტენი თქვენთვის იქმნება და თქვენს სამსახურშია, მოგვწერეთ თქვენი წინადადებები. ელ-ფოსტა: welfare@civilin.org

ბიულეტენის ერთ-ერთი მთავარი თემა თქვენი საქმიანობა და ღონისძიებებია. მოგვწერეთ, მოგვაწოდეთ ინფორმაცია ღონისძიებების შესახებ, ჩვენ კი გთავაზობთ: ღონისძიების ანონსის გავრცელებას ელექტრონული ფოსტით, ღონისძიების გაშუქებას საინფორმაციო ელექტრონული ბიულეტენის საშუალებით. მოგვაწოდეთ ინფორმაცია თქვენი გამოცემების შესახებ და ჩვენ განვათავსებთ მათ პროექტის ვებ-გვერდზე:

<http://www.civilin.org/welfare>

მოგვაწოდეთ ინფორმაცია იმ პროდუქციის შესახებ, რომელსაც აწარმოებთ სოციალურ სფეროზე ორიენტირებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან არსებულ სახელოსნოებში, მათ განვათავსებთ პროექტის ვებ-გვერდზე:

<http://www.civilin.org/welfare>

ნუ გაუშვებთ შესაძლებლობას გაეცნონ